491.5
6-191

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მაკა ნათაძე

ნასახელარი ზმნების წარმოება ტრანსპოზიციური კონვერსიის მეთოდით სპარსულ ენაში

10.02.06 – ახლო აღმოსავლეთის ენები
(ინდურ-ირანული)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეო ჩხეიძე**

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემშიდ გიუნაშვილი**

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ფატი ანთაძე**

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 18 ნოემბერს 14⁰⁰ საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს P10.06 № 9 სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
მისამართი: თბილისი, 0162, აკად. გ. წერეთლის ქ. №3

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 18 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი /დ. სვანი/

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. М. Цховребова

-9023-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომის საგანი და მიზანი. ნაშრომის საგანია სპარსულ ენაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისაგან ზმნების წარმოება. ჩვენი მიზანია სპარსული ნასახელარი ზმნების ზოგადმორფოლოგიური, სემანტიკური და სტილისტური დახასიათება სინქრონიულ და დიაქრონიულ პლანში.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა. სპარსულ ენაში ნასახელარი ზმნების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ასახავს პროცესებსა და ტენდენციებს, რომლებიც თანამედროვე ცოცხალ ენაშიც შეიმჩნევა. ის შეეხება ენის ლექსიკური მასალის, მისი ნომინაციური საშუალებების გამდიდრების პრობლემას. საკითხი საინტერესოა არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური, არამედ ლიტერატურული სტილისტიკის თვალსაზრისითაც.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს საშუალო სპარსულ ენაში ნასახელარი ზმნების ზოგადი სტრუქტურული ანალიზი, საშუალო სპარსულსა და ახალ სპარსულში დადასტურებული ნასახელარი ზმნების ურთიერთმიმართების, აგრეთვე საშუალო სპარსულსა და ახალ სპარსულში ნასახელარი და რთული ზმნების ურთიერთმიმართების საკითხი, ნასახელარი ზმნების ზოგადი სემანტიკური ანალიზი (ნასახელარ ზმნათა ძირითადი სემანტიკური ტიპები). აგრეთვე მოცემულია ფირდოუსის „შაჰ-ნამე"-სა და თარზი აფშარის პოეზიაში მოძიებულ ნასახელარ ზმნათა ზოგადი დახასიათება. ნაშრომში მაქსიმალურად არის თავმოყრილი მასალა საშუალო და ახალი სპარსული ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან.

სადისერტაციო კვლევის მეთოდები. ზოგადად ტრანსპოზიციის კონვერსული მეთოდის შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ სპარსულ ენაში კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები ძალზედ მცირეა. არსებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია ლ. პეისიკოვის გამოკვლევები, რომლებშიც ავტორი შედარებით სრულად განიხილავს დერივაციის ამ სახეობას სპარსულ ენაში და აღნიშნავს პრობლემის დიაქრონიული ასპექტის შესწავლის მნიშვნელობასაც. კვლევის მიზნებიდან და შესასწავლი ლექსიკური ერთეულების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სინქრონიული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები, საშუალო და ახალი სპარსული ენის მასალათა შედარების საფუძველზე აღნიშნულია ნასახელარ ზმნათა წარმოქმნისა და განვითარების ეტაპები.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები გარკვეულ სამსახურს გაუწევს სპარსული ენით და, ზოგადად, ენათმეცნიერებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და სტუდენტებს. ნაშრომის მასალა და კვლევის მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ირანული, ასევე სხვა ენების შესწავლის მიზნით.